

ბიბლიური ტოპონიმების შესწავლის მნიშვნელობა ქართულ ისტორიულ ზოგნა-წარმოდგენების გასაცნობად

THE IMPORTANCE OF STUDYING THE BIBLICAL TOPONYMS TO REVIEW THE HISTORICAL KNOWLEDGE AND IDEAS OF GEORGIANS

გიორგი ჭიტოშვილი

Giorgi Kitoshvili

 <https://orcid.org/0009-0006-7500-3494>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: ძველი აღთქმა, ტოპონიმები, თარგმანი, ისტორიული ცოდნა

Keywords: Old Testament, toponyms, the translation, historical knowledge

ABSTRACT

Georgians acquired knowledge about different regions through the Holy Scriptures. The Old Testament contains the names of toponyms of various regions. From the Hebrew text, these toponyms firstly transferred to the Greek Bible and, after that, spread to other translations made from the Greek version of the Holy Bible, including the Georgian translation. Our aim is to demonstrate the importance of the study of biblical toponyms to get to know the historical knowledge of Georgians.

Geographical names have appeared in the Georgian versions of the Old Testament under the influence of the Greek (and in the case of Ezra's books from Armenian translations of the Bible). The translators and reviewers, on one hand, had information about biblical nations and, therefore, they knew the names of the toponyms, or, on another, they knew about names from the Bible.

The toponyms transferred into Georgian translation of the Bible are studied based on different methods by means of a comparative approach. The history of each text of the Bible is taken into account. Translated texts in Georgian were also changed by scribes. The relevant textual forms of toponyms (with ethnonyms) were compared by us with the approach of the translation technique and copying experience. We should pay attention to the fact that the proper names could be changed during the copying process.

In such cases, when a translator didn't know toponym or no match existed in his own language, the translated forms are close to the original text, they were obliged to transfer to the language of the translation.

Thus, the study of biblical toponyms allows us to determine whether the Georgians acquired geographical information about different regions of Asia and Africa with or without translation of the Bible.

ბიბლიური ტოპონიმების შესწავლის მნიშვნელობას ცხადყოფს ძველი ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვება. ბიბლიაში ძველი ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეგიონია. წმინდა წერილში გადმოცემულია მასში არსებული ქვეყნების შესახებ სხვადასხვა ეპოქაში მომხდარი არაერთი ისტორია. სწორედ ძველ ახლო აღმოსავლეთში მდებარეობდა ებრაელთა მთავარი მონინალმდევ სახელმწიფოები: ასურეთი, ბაბილონი, მიდია, ელამი. ეს სახელმწიფოები მოგვიანებით შევიდნენ ჯერ აქემენიდური, ხოლო შემდეგ სასანიდური სპარსეთის შემადგენლობაში, ამიტომ ქართველებს მათთან შეხება უნდა ჰქონოდათ. საინტერესოა, რას გვეუბნება ბიბლიური ტოპონიმების ტექსტოლოგიური ანალიზი მათზე ქართველთა წარმოდგენების შესახებ.

წმინდა წერილის ქართულ თარგმანში განსხვავებული მეთოდებით გადმოტანილი ძველი ახლო აღმოსავლეთის ტოპონიმები, ამ ეტაპზე რამდენიმე ქალაქი: „Εκβάτανα“ – „ეკბატანა“, „Ράγα“ – „ჰრაგა“ და „Σισάα“ – „სუსა“, შევისწავლეთ კომპარატივისტული მეთოდით. მხედველობაში გვქონდა, რომ ძველი აღთქმის ქართული ვერსიები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, წარმოადგენს არაერთი ენიდან გადმოტანილ და სხვადასხვა პრინციპით რეცენზირებულ ძველ თარგმანებს. ყურადღება გავამახვილეთ იმ გარემოებაზე, რომ ეს ტექსტები შეიცვალა გადანერის პროცესშიც.

ზემოაღნიშნული ქალაქების თარგმანის ტექნიკაზე დაკვირვების პროცესში გავითვალისწინეთ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის, მაკროტოპონიმების, „ელამისა“ და „მიდიის“ ტექსტოლოგიური ანალიზის, შედეგები. ტოპონიმ „ელამისა“ და ეთნონიმ „ელამიტელის“ ქართულ ეკვივალენტებზე ტექსტოლოგიურმა დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ: „1.

ქართული ეკვივალენტი გადმოტანილია ბერძნულიდან ტრანსლიტერაციით; 2. ქართულ ენაში თარგმანის დროისათვის არ არსებობდა ბერძნული „Αίλαμ“-ით აღნიშნული ტოპონიმის ადეკვატური ქართული შესატყვისი; 3. ეთნონიმის ტრანსლიტერაცია განხორციელდა, ერთი მხრივ, წარმოთქმის (ე-, Αίλαμ = ელამ, - ბერძნულ-ქართული წარმოთქმის წესების შესახებ იხ. სრულად: მახარაძე, 1978, გვ. 11-21), ხოლო, მეორე მხრივ, წერილობითი ფორმის ზედმიწევნითი მიბაძვით (-ίτ[®] იტ, „Αίλαμιτ“ = „ელამიტელი“)... ტოპონიმ „Ελισαμόν“ - ელვიამაიდას გადმოტანისას ტრანსლიტერაცია არა წარმოთქმის, არამედ წერილობითი ფორმის მიმსგავსებით შესრულდა... ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტებისთვის ბიბლია იყო სანდო წყარო ელამისა და მასში დასახლებული ელამური ეთნოსის ისტორიის შესწავლისათვის. თარგმანზე ნაკლებად აისახა მთარგმნელების წინარე ცოდნა, პირიქით, თარგმანის მეშვეობით შეითვისეს ახალი ინფორმაცია ძველი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფოს, ელამის, შესახებ“ (ქიტოშვილი, 2023, გვ. 157-58).

ელამისაგან განსხვავებით, მიდიელების შესატყვისი არსებობდა ქართულ ენაში, მეტწილად ითარგმნება Μηδία/Μήδιο ქართული ეკვივალენტებით: **ხოვასტანი, (ხ)უვიკეთი, ხუვიკნი, მარნი, არშაკნი**, ხოლო გამოწაკლის შემთხვევებში მთარგმნელ-რეცენზენტები ტრანსლიტერაციას მიმართავდნენ: „მიდონელთა/მედონელთა“ ნაკითხვა ბერძნულიდან ასო-ასო ტრანსლიტერაციით შესრულდა, რაც IV მეფეთას წიგნის თავისებურებას წარმოადგენს... ესთერის წიგნის ნაკითხვების მიხედვით, მიდიელები და პართიელები ქართველ მთარგმნელ-რეცენზენტებს ერთ ხალხად მიაჩნდათ. მათ ასევე საერთო წარმოდგენა ჰქონდათ ელამელებსა და მიდიელებზე, თუმცა მათ დანამდვილებით არჩევდნენ სპარსელებისაგან“ (ქიტოშვილი, 2023, გვ. 234). საინტერესოა, რა ტიპის ტექსტუალური სურათი წარმოჩინდება უშუალოდ ქალაქების თარგმანის ტექნიკაზე დაკვირვებით.

„Ἐκβάτανα“ – „ეკბატანა“

ეკბატანა მდებარეობდა ქვემო მიდიის ტერიტორიაზე, კერძოდ ჰამადანის რაიონში. ის იყო მიდიის ყველაზე დიდი და ძლიერი ქალაქი, რომლის მოსახლეობაც მძლავრობდა მთელს სახელმწიფოზე. შესაბამისად, ეკბატანა იქცა ცენტრალიზებული მიდიის სახედ, მის დედაქალაქად (მელიქიშვილი, 1988, გვ. 395). ასტიავეს მმართველობის დროს, ძვ. წ. 553 წელს, მიდიას კიროსის მეთაურობით აუჯანყდა მის შემადგენლობაში შემავალი სპარსეთის დამოუკიდებელი სამეფო. სპარსელებმა აიღეს ეკბატანა. მოგვიანებით ეს ქალაქი გახდა აქემენიდთა იმპერიის ცენტრიც (AYBD IV, p. 660). მიდიის დედაქალაქ

ეკბატანაში აღმოჩენილი სამეფო ჩანაწერების შესახებ მოგვითხრობს 1 ეზრასა და 2 ეზრას წიგნები. დარიოს მეფემ განიხილა იერუსალიმის ტაძრის მშენებლობის საკითხი და გამოიძია კიროს მეფის გადაწყვეტილებები ებრაელთა შესახებ. მისმა ძიებამ გამოაჩინა, რომ ეკბატანაში ინახებოდა კიროსის მიერ გამოცემული ბრძანების აქტები, რომელთა მიხედვითაც, კიროსმა დაავალა ქვეშევრდომებს იერუსალიმის ტაძრის აღდგენა. აქვე ირკვევა, რომ სპარსთა მმართველობის ხანაშიც ეკბატანა არ კარგავდა სტრატეგიულ დანიშნულებას, მეტიც, იგი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის ქალაქი გახლდათ.

ტობის წიგნი მოგვითხრობს ეკბატანელი და ნინევიელი ებრაელების ურთიერთობის შესახებ. სწორედ მოცემულ ეპიზოდებში ხშირად მოიხსენიება ქალაქები: „ჰრაგა“ (ტობ. 1:14); „ეკბატანა“ (ტობ. 3:7). ნინევიელი ებრაელები იძულებული გახდნენ გადასახლებულიყვნენ მიდიაში, უშუალოდ ტობიაც მამის მითითებით ეკბატანაში, მეუღლის მშობლებთან, აგრძელებს ცხოვრებას, რის შემდეგაც მიდიის მეფე კიაქსარისა და ბაბილონელი ნაბუფალასარის გაერთიანებული ლაშქარი თავს დაესხა ასურეთს და ნინევია აიღო (ტობ. 14:15).

ივდითის წიგნის მიხედვით, მიდიის მეფე არფაქსადმა ააგო ეკბატანა და ზღუდე შემოავლო მას, თუმცა ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფე, რომელიც ივდითის წიგნში ასურეთის მეფედ არის მოხსენიებული (ივდ. 1:1), 12 წლის განმავლობაში ებრძოდა მას და ბოლოს დაამარცხა კიდეც, აიღო დედაქალაქი ეკბატანა (ივდ. 1:1-15), ხოლო ციხე-სიმაგრე მინასთან გაასწორა.

იმ მიზნით, რომ წარმოგვეჩინა, რამდენად ერთგვაროვნად გადმოდის „Ἐκβάτανα“ ქართულ ვერსიებში, ბერძნული და ქართული ნაკითხვების მიხედვით დავძებნეთ აღნიშნული ქალაქის ძველ ალთმაში არსებული ყველა ქართული იკითხვისი და შევუდარეთ ბერძნულ და, საჭიროების შემთხვევაში, სომხურ რელევანტურ ნაკითხვებს. გავაანალიზეთ თარგმანის ტექნიკის თავისებურებები და გამოვკვეთეთ მოცემული გეოგრაფიული სახელის მთარგმნელობითი ტენდენციები.

ტობი/Tobit

Tobit 3:7 ἐν τῇ αὐτῇ ἡμέρᾳ συνέβη τῇ θυγατρὶ Παγουῆλ Σαρρα ἐν Ἐκβάταινοις τῆς Μηδίας... 5:6 ἀπὸ Ἐκβάτανων... **Ἐκβάτανα 6:6** καὶ ᾤδευον ἀμφότεροι ἕως ἥγγισαν ἐν Ἐκβάταινοις... **6:10** ὥς δὲ προσήγγισαν τῇ Παγῇ...**7:1** καὶ ἦλθον εἰς Ἐκβάτανα...**14:12** καὶ τῶν υἱῶν αὐτοῦ εἰς Ἐκβάτανα πρὸς Παγουῆλ τὸν πενθερὸν αὐτοῦ...**14:14** καὶ ἀπέθανεν ἐτῶν ἑκατὸν εἴκοσι ἐπτά ἐν Ἐκβάταινοις **τῆς Μηδίας...** **6:6** καὶ ᾤδευον ἀμφότεροι ἕως ἥγγισαν ἐν Ἐκβάταινοις] 3:7 მას დღესა შინა შეჰხუდა სარას,

ასულსა (3- S)რაგუელისსა, **ეკბატანს (ეგბატანს S)** ხუჟიკეთისასა... 5:6 ეკბატანასა (ეგბატანსა I, ეგბატანისა D)... ეკბატანად (ეგბატანი ID)... 6:6 და წარვიდეს ორნივე იგი და მოვიდეს **ვიდრე ხუჟიკეთამდე** (Geo ≠ LXX)... 6:10 და მიიწინეს **ეკბატანად (ეგბატანად ID)**... 7:1 და ვითარცა მოვიდეს იგინი **ეკბატანად (ეგბატანად ID)**... 14:2 ხოლო ტობია წარვიდა სარაჲს თანა, ცოლისა თჳსისა, და ძეთა მისთა თანა **ეკბატანად (lac. O, ეგბატანად S)**... 14:14 და მოკუდა იგი ას ოცდაშვიდის წლისა **ეკბატანს (lac. O, ეგბატანს S)** ხუჟიკეთისასა OIDEFS (ქართულ ტექსტში მოცემულია მხოლოდ „ეკბატანასთან“ დაკავშირებული კითხვასხვაობები)|

ბაქარისეული ბიბლიის მოცემულ ეპიზოდში ეკბატანა ქართულ თარგმანში არ არის მოხსენიებული, გარდა ამისა, 2 მაკ. 9:3-შიც გვხვდება **Ἐκβάτανα**, თუმცა მხოლოდ ბაქარისეული გამოცემით არის 2 მაკამებელთა ჩვენამდე მოღწეული და ამასთან ერთად მოცემულ ეპიზოდში ქალაქის შესატყვისი არაა წარმოდგენილი (მდრ.: 2 მაკ. 9:3 ხოლო მყოფს მას წინაშე იეკატანისა მიუთხრეს მას ქმნილი ნიკონორისა თანა და ტიმოთესა)

ტობის წიგნის ყველა ქართულ ვერსიაში „Ἐκβάτανα“-ს მყარი ლექსიკური ეკვივალენტია „ეკბატანა“, მხოლოდ IDS ვერსიებში გვხვდება ფონეტიკურად განსხვავებული კითხვასხვაობა „ეგბატანა“. 6:10 მუხლში ქართულ თარგმანში წარმოდგენილია „ეკბატანა“, თუმცა ზოგ ბერძნულ, სირიულ და სომხურ წყაროში მის შესატყვისად მოცემულია „Ἐκβάτανα“ (საუბარია ქალაქ რაგაზე, იხ. ქვემოთ), რომელიც სეპტუაგინტას კრიტიკულ გამოცემაში ლემაშია შეტანილი. ამ შემთხვევაში ქართული ვერსიები განსხვავდებიან აღნიშნული ბერძნულ-სირიულ-სომხური წყაროებისაგან და იზიარებენ სხვა ჯგუფის ბერძნულ ვარიანტულ ნაკითხვებს: **ἐκβάτανα** | **Ἐκβατάνοις** 319, **ἐκβάταναν** S^{cod} | მიუხედავად იმისა, რომ 319 ხელნაწერის ტობის წიგნის მოცემულ ნაკითხვას იზიარებს ოშკური ხელნაწერი, არ ნიშნავს, რომ მისგან მომდინარეობს, მაგ.: 319 ხელნაწერისაგან ესთერის ოშკური ვერსია დიდად განსხვავდება (მიროტაძე, 214, გვ. 11).

ჩვეულებისამებრ, მთარგმნელ-რეცენზენტი გეოგრაფიულ სახელს თარგმნის, თუ მისი მნიშვნელობა ცნობილია და თარგმანის ენაში არსებობს მოცემული ტოპონიმის ადეკვატური შესატყვისი. საპირისპირო შემთხვევაში, იქმნება ტრანსლიტერირებული ფორმები, რომლებშიც ბერძნულ ორიგინალში არსებული ნაკითხვები ფონეტიკური სიზუსტით აისახება. ამ დროს ტრანსკრიბირების მიზეზი, რა თქმა უნდა, სათარგმნ სეგმენტზე ცნობების ნაკლებობაა (Tov, 1999, pg. 503-4). ასე რომ, ტოპონიმთა თარგმანის ტექნიკა არა მხოლოდ მთარგმნელის, არამედ თარგმანის ენის მონაცემებზე გვანჯდის ინფორმაციას. მოცემულ შემთხვევაში ქართული იკითხვისები ზედმიწევნით ასახავს ბერძნულ ფონე-

ნემებს (**Ἐκβάτανα**® ეკბატანა), თუმცა ივდითისა და ტობის წიგნის ნაკითხვების შეპირისპირების გარეშე არ გვაქვს საშუალება დაზუსტებით ვთქვათ, ტრანსლიტერაცია თარგმანთან ერთად შესრულდა, თუ თარგმანის მომენტისათვის არსებობდა უკვე ენაში „ეკბატანას“ ტრანსლიტერირებული ვარიანტი.

ივდითი/ Judith

Judith 1:1 Ἀρφαξὰν ὃς ἐβασίλευσεν Μήδων ἐν Ἐκβατάνοις 1:2 καὶ ᾠκοδόμησεν ἐπὶ Ἐκβατάνων κύκλῳ τεῖχῃ ἐκ λίθων λελαγμένων εἰς πλάτος πηχῶν τριῶν... 1:14 καὶ ἐκურίευσεν τῶν πόλεων αὐτοῦ καὶ ἀφίκετο **ἕως Ἐκβατάνων** 1:1 არფაქსადისთა, რომელი მეფობდა ხოჟასტანელთა ზედა **ეგბატანს**, 1:2 და მოადგა გარემო **მისსა** ზღუდჳ ლოდთაგან თლილთა... 1:14 და ეუფლა ქალაქებსა მისსა და მიიწინა ვიდრე **ეგბატანამდე (ეგბატანამდე DFS, ეკბატანამდე I)** ODFIS (ქართულ ტექსტში მოცემულია მხოლოდ „ეკბატანასთან“ დაკავშირებული კითხვასხვაობები)|

ივდითის წიგნში, ტობის წიგნის ნაკითხვებისგან განსხვავებით, ბერძნულ კაპას ძირითადად შეესატყვისება ქართული განი (κ გ, **Ἐκβάτανα** ეგბატანა), რაც ქართულ ენაში თარგმანამდე ან თარგმანის შემდგომ პერიოდში განვითარებულ ფონეტიკურ მოვლენებზე მიგვანიშნებს, მჟღერ ბანთან ასიმილაციით ყრუ მკვეთრი კანი მჟღერმა განმა ჩაანაცვლა (კ გ, ეკბატანა ეგბატანა). გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ ტოპონიმში **k g** (კ გ) ფონოლოგიური ცვლილება მხოლოდ ქართულისთვის არაა დამახასიათებელი, არამედ შეიმჩნევა ვეტუს ლათინას ძველი თარგმანის კატენებზეც (თუმცა ქართული ნაკითხვის წარმომავლობასთან შეხება არ აქვს), მდრ.: 1:2 ἐπὶ Ἐκβατάνων] *egbatana* La¹ |

ტობის წიგნში ზემოაღნიშნული კ გ გარკვეულ ხელნაწერებში (IDS) თარგმანის შემდგომი, გადამწერისეული ცვლილებაა, რაზეც მიგვანიშნებს მასზე უფრო ძველი ნაკითხვა ოშკური ხელნაწერისა („ეკბატანა“). ამგვარადვე შეგვიძლია ავხსნათ ივდითის წიგნის ოშკური ხელნაწერის ნაკითხვებიც – „**ეგბატანა**“.

ამრიგად, გვაქვს უფლება, ვივარაუდოთ, რომ „ეკბატანა“ ტრანსკრიბირებული იკითხვისია, თუმცა თარგმანის პროცესში ტრანსლიტერირდა, თუ თარგმანამდე წარმოთქმის ზუსტი მიბაძვით, ამის თქმა ჯერჯერობით არ ხერხდება (თუ როგორ ტრანსლიტერირდებოდა აღნიშნული ტოპონიმის სომხური ვარიანტი, იხ. I ეზრა, 6:22; ქიტოშვილი, 2024, გვ. 33)

„Páγα“ – „ჰრამა“

რაგა იყო უძველესი მიდიური ქალაქი, რომელიც მდებარეობდა ეკბატანას ჩრდილო-აღმოსავლეთით, სპარსეთის საზღვართან, დღევანდელ

თეირანთან ახლოს. მიდიის დედაქალაქიდან დაშორებული იყო 2 დღის სავალზე: ტობ. 5:6 „შორავს ეკბატანსა გზად ორისა დღისა განწესებული ჰრაგად არს მთასა ზედა, ხოლო ეკბატანად შორის ველსა“. კასპიის ზღვის კარისაკენ მიმავალი სავაჭრო-სამხედრო გზა გადიოდა სწორედ რაგაზე. მისი ნაქალაქარი დღესაც შემორჩენილია თეირანიდან ჩრდილო-დასავლეთით. ძველად ქალაქი წარმოადგენდა პროვინციის ცენტრს. ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა სწორედ რაგავის პროვინციაში დაამარცხა მიდიის მეფე არფაქსადი (OBCCI, CT. 320). ძველ აღთქმაში მხოლოდ ტობის წიგნშია მოხსენიებული ქალაქი რაგა, თუმცა – არაერთხელ, რამდენადაც მასში ცხოვრობდა ტობის ნათესავი გაბაელი, რომელსაც ტობიასთვის უნდა მიეცა კუთვნილი ვერცხლი, ამიტომ ტობის წიგნი ასახავს ტობიას მოგზაურობას ნინევიიდან ეკბატანამდე, რაგას მიმართულებით.

ტობი/Tobit

Tobit 1:14 καὶ παρεθέρην Γαβαήλ τῷ ἄνδρῳ Γαβρία ἐν **Ράγοις** τῆς Μηδίας ἀργυρίου τέλαντα δέκα... **4:1** οὐ παρέθετο Γαβαήλ ἐν **Ράγοις** τῆς Μηδίας... **4:20** ἃ παρεθέρην Γαβαήλ τῷ τοῦ Γαβρία ἐν **Ράγοις** τῆς Μηδίας 5:6 ἐν **Ράγοις**... εἰς **Ράγα**... **6:13** ἐκ **Ράγαν**... **9:2** πορεύθητι ἐν **Ράγοις** τῆς Μηδίας παρὰ Γαβαήλ... 9:5 εἰς **Ράγα** τῆς Μηδίας] 1:14 დავვედრე გაბაელს, ძმასა გაბრიელსა, **ჰრაგას (ჰრაგუელს IDf, om. S) შინა ხუჟიკეთისასა** ვეცხლისა ათი ტალანტი... 4:1 რომელი ვედრად მიეცა გაბაელს **ჰრაგას (ჰრაგუელს ID, რაგას S)** ხუჟიკეთისასა... 4:20 დამივედრებეს ვეცხლისა გაბაელს (რომელ არს ათი ქანქარი), ძესა გაბრიელსა **ჰრაგას (ჰრაგუელს IDf; ვრადეს B)** ხუჟიკეთისასა... 5:6 ჰრაგას (**ჰრაგუელს O, ჰრაგუელს IDf**)... **ჰრაგად**... 6:13 **ჰრაგავით (არგავით F)** 9:2 წარვედ **ჰრაგად (ჰრქად O; რადეს B; რაგად S)** გაბაელისა... 9:5 **ჰრაგად (არაგად F) OIDFSB** (ქართულ ტექსტში მოცემულია მხოლოდ „ჰრაგასთან“ დაკავშირებული კითხვასხვაობები)

მოცემული ტექსტუალური სურათის მიხედვით, ტობის წიგნში წარმოდგენილი **Ράγα-ს** ეკვივალენტებიდან ძირითადია „ჰრაგა“, ხოლო დანარჩენი ვარიანტები სხვადასხვა გარემოებით არის გაპირობებული. **ჰრაგუელს IDf, ჰრაგუელს ID, ჰრაგუელს O** – ერთი ტიპის შეცდომაა და გამოწვეულია გადანერის დროს ტოპონიმ „ჰრაგას“ ანთროპონიმ „ჰრაგუელით“ ჩანაცვლებით. ტექსტში ხშირად არის მოხსენიებული „ჰრაგუელი“, სარრას მამა და ტობიას სიმამრი, შესაბამისად, არაა გასაკვირი მსგავსი ჰაპლოლოგია. ოშკური ხელნაწერის იკითხვისი **ჰრაგუელს O** იმავე ანთროპონიმის ფორმაა, თუმცა გადანერის პროცესში მექანიკურად დაიკარგა გრაფემა „ლ“ (ჰრაგუელს ® ჰრაგუელს).

ვფიქრობთ, ოშკური ხელნაწერის იკითხვისი „ჰრაგავით“ საინტერესოა, რამდენადაც ერთა-

დერთი ვალიდური წაკითხვაა, რომელიც „ჰრაგას“, როგორც ტოპონიმი, ისე შეგვიძლია შევუპირისპიროთ. მოცემული ტოპონიმი „ჰრაგავით“ არაა ზუსტი თარგმანი, რადგან „ჰრაგავი“ რეგიონს, სხვაგვარად მათა სისტემას, ნიშნავს, რომლის ნაწილიც გახლდათ ქალაქი რაგაც. მთარგმნელ-რეცენზენტმა იცის მოცემული ტოპონიმის შესახებ, თუნდაც ივდითის წიგნიდან და შეგნებულად თუ შეუცნობლად ანაცვლებს „ჰრაგას“ „ჰრაგავით“ (შდჰ.: ივდ. 1:5 καὶ ἐποίησεν πόλεμον ἐν ταῖς ἡμέραις ἐκείναις ὁ βασιλεὺς Ναβουχοδονοσορ πρὸς βασιλέα Ἀρφαξάν ἐν τῷ πεδίῳ τῷ μεγάλῳ τοῦτό ἐστιν πεδίον ἐν τοῖς ὁρίοις Παγαυ... 1:15 καὶ ἔλαβε τὸν Ἀρφαξάν ἐν τοῖς ὅρεσι **Ραγαυ**] და ყო **ბიძოდა მათ ღლეთა შინა ნაბუქოდონოსოხ, მეფემან ასუხასტანედთამან, მეფისა თანა ახფაქსადისა ველსა მას ზედა, ესე იგი ახს საზღვახთა **ჰაგავისთა** (ამ შემთხვევაში ტოპონიმის გჰანსლიტეხაცია ფონეტიკური სიზუსტით განხორციელდა, ხოლო ძლიერი ფშვინვა (**Ραγαυ**) მასში ახ ასახუდა... 1:15 და წახმოიყვანა ახფაქსად და ჰოხოღსა ალაყუა იგი მათა ზედა **ჰაგავისთა ODFIS I**). არ გამოვრიცხავთ და უფრო მეტად საფიქრებელიც არის, რომ აღნიშნული ცვლილება გადამწერისეული იყოს, რადგან ერთჯერადი ხასიათი აქვს, მხოლოდ მოცემულ ეპიზოდში გვხვდება იკითხვისი „ჰრაგავ-“. ბერძნულის შესაბამისობით შეგვეძლო აგვეხსნა -ავ დაბოლოება („ჰრაგავ“), თუ ბერძნულ ვარიანტულ კითხვასხვაობებში გამოჩნდებოდა ფორმა „Ράγαυ“, თუმცა მსგავს წაკითხვას არ ვხვდებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გადამწერისეულ სხვა შეცდომებზე „ჰრქად“, „არგავით“, „არაგად“ ყურადღებას აღარ ვამახვილებთ.**

თავად ტოპონიმ **Ράγα-ს** დასაწყისში ძლიერი ასპირაცია აქვს. როგორც ცნობილია, თანხმოვანი p-ით დაწყებულ სიტყვებს ყოველთვის ძლიერი ფშვინვა ეწერებათ, თუმცა არ გამოითქმის. მსგავს შემთხვევებში არაერთგვაროვან პრაქტიკას ვაწყდებით ბიბლიური საკუთარი სახელების ტრანსლიტერაციისას, კერძოდ **Ραγούηλ** – „ჰრაგუელ“, „**Ραφαήλ**“ – „რაფაელ“, „**Ραασωα**“ – „რაასონ“, „**Ραββ**“ – „რაბათი“, „**Ραββ**“ – „ჰრაბათსა“ (შდრ.: „**Ραββ** – რაბი, ჰრაბი, **Ραββουσι** – ჰრაბუნი“ (მახარაძე, 1978, გვ. 35)).

ამრიგად, ტოპონიმი „ჰრაგას“ ტრანსლიტერაცია შესრულებულია ბერძნულიდან თარგმანის პროცესში წარმოთქმის წესების გათვალისწინებით.

„Σόσσα“ – „სუსსა“

თავისი დიდების ხანაში ელამი მოიცავდა სუსიანასა და ანშანის რეგიონებს. სტრაბონი განასხვავებს სუსიანასა და ელამს. მისი თქმით, ელამი ტიგროსთან მდებარეობდა, ბაბილონის აღმოსავლეთ მხარეში და სუსიანას ესაზღვრებოდა. ტიგროსით სუსიანა გამოყოფილი იყო ტერიტორიისაგან, რომელსაც ჰეროდოტე მოიხსენიებდა კისიის ელამად, თუმცა სტრაბონი „კისიის ელამსაც“ მიათ-

ვლიდა სუსიანას (ОБСМ, ст. 553). სუსიანას დაპყრობის შემდეგ ელამის მმართველებს ეწოდათ „მეფე სუსას და ანშანისა“ (გელები, 1990, გვ. 338). მეტიც, სუსა მოგვიანებით ელამის დედაქალაქი გახდა. ელამელებმა თანდათანობით შეძლეს სუსიანას მოსახლეობის ასიმილაცია. „საშუალო ელამიტურ პერიოდში ელამი საბოლოოდ იერთებს სუსიანას, მისი კულტურული (ენობრივი, სარწმუნოებრივი) ანექსია ხორციელდება“ (ჰანსმანი, 1972, გვ. 102-24), რაც სუსას ელამის დედაქალაქად გამოცხადებით დამთავრდა. ასურელებთან სამხედრო დაპირისპირება ელამის დამარცხებით დასრულდა, „ასურეთის მეფე ასურბანიფალი 646 წელს შეიჭრა სუსიანაში და აიღო დედაქალაქი სუსა (გრეისონი, 1974-77, გვ. 56-64), მოგვიანებით კი, 539 წელს, – კიროს დიდმა. სუსა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო ანშანთან, ეკატანასთან და დარიოსის დროს დაარსებულ პერსეპოლისთან ერთად იმ პერიოდში, როდესაც აქემენიდების დიდ იმპერიაში შედიოდა. საგულისხმოა, რომ სპარსელები ამჯობინებდნენ, სუსიანად („უჟა“) მოეხსენიებინათ ძველი ელამის ტერიტორია (Hallock, 1969, p. 25-26). ძველ აღთქმაში ქალაქი სუსა ორ, ესთერისა და დანიელის, წიგნში არის მოხსენიებული.

ესთერი/Esther

1:2 ἄνθρῳπος Ιουδαῖος οἰκῶν ἐν Σούσαις τῇ πόλει... 1:5, 2:5, ἐν Σούσαις τῇ πόλει... 2:8 εἰς Σουσαν τὴν πόλιν... 3:15 εἰς Σουσαν... 4:8 ἐν Σούσαις... 8:12,13,14,15, 9:3,6 ἐν Σούσαις]

1:2 კაცი იგი დიდ ტყუეობასაცა (om. O)... 1:5 **სუსეს** ქალაქსა შინა... 2:5 **სუს** ქალაქსა... 2:8 lac... 3:15 **სუს** შინა... **სუსს**... 4:8, 4:16 om. ... 8:12 **სუსია** ქალაქსა... 8:13 **სუსეს** ქალაქსა... 8:14 **სუსესა** ქალაქსა... 8:15 **სუსიან** ქალაქმან... 9:3, 9:6 **სუსეს** ქალაქსა O;

DFIS

1:2 კაცმან ჰურიამან, რომელი მყოფ იყო **შუმს (შუმანს S)** ქალაქსა... 1:5, 2:5, **შუმს** (შუმანს S) ქალაქსა... 2:8 **შუმანს** ქალაქსა შინა... **შუმანს**... 4:8 **შუმანს** ქალაქსა შინა... 4:16 **შუმანს** შინა ქალაქსა... 8:13 **შუმანსაცა** შინა... 9:6, 9:11, 9:12, 9:15, 9:18 **შუმანს**... 9:14 **შუმანისათა (შუმისა S) DFIS**;

B

კაცმან დიდმან ბჭესა შინა მსახურმან სამეფოსა... 1:5 ქალაქსა შინა **სუსასა**... 2:5, 2:8 **სუსან** ქალაქსა შინა... 3:15 **სუსას** შინა... **სუსა**... 4:8 **სუსან** ქალაქსა შინა B|

ბერძნულ ვარიანტულ წაკითხვებში ქალაქ სუსას

„Σοισ-“ ძირისაგან განსხვავებული იკითხვისები არ დაეძებნება. ხოლო ოშკური ხელნაწერის წაკითხვების მიხედვით, შეგვიძლია სამგვარდაბოლოებიანი ერთი ეკვივალენტი გამოვარჩიოთ: „სუს“, „სუსია“, „სუსს“. პირველ შემთხვევაში „სუს“ წრფელობითის ფორმით არის წარმოდგენილი და ფუძედაც ეს უკანასკნელი მიიჩნევა. -ია, ან -ს (-ეი) დაბოლოებიანი ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულ დედანთან სიზუსტით არ აიხსნება. ერთი წიგნის ფარგლებში ერთისა და იმავე ტოპონიმის მსგავსი უსისტემო გადმოტანა ქართულ თარგმანში მიგვანიშნებს, რომ ძირი „სუს“ ტრანსლიტერირდა, ხოლო ფუძე ზუსტად ვერ იქნა აღქმული, რამდენადაც ბერძნულ ტექსტში ქალაქის სახელი ყოველთვის ბრუნვის ფორმითაა მოცემული. ასე რომ, დაბოლოება -ია, -ს (-ეი) არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციისა და ტოპონიმიზაციის მცდელობის შედეგია.

მიუხედავად იმისა, რომ ესთერის მეორე ტექსტში F და ID ორ ტექსტუალურ ჯგუფს ქმნის (მიროტაძე 2014, გვ. 17), ტოპონიმ „Σοισ-“ას გადმოტანის საკითხში მოცემულ ხელნაწერებში ერთგვაროვანი სურათი წარმოგვიდგება, – „შუმან“. -ან დაბოლოება არაა გაპირობებული ბერძნულ ვარიანტულ კითხვასხვაობებთან სიახლოვით, არც სომხურის მიბაძვით, რადგან ტექსტი ბერძნული წარმომავლობისაა, თუმცა -ას დაბოლოება ტოპონიმის სომხურ თარგმანშიც გვხვდება (Շուշանს ესთ. 13:8). თუ ქართულ და სომხურ წყაროებში ბერძნული ტექსტისა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა მსგავსი ფორმები, გვაქვს უფლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ „შუმან“ ასახავს ტოპონიმის იმ დროისათვის გავრცელებულ ფორმას (შდრ.: **ანშან** – ერთ-ერთი მძლავრი ქალაქი სუსას შემდეგ).

დან. (თ)/Dan. (Th.)

8:2 ὄντος ἐν Σούσαις τῇ πόλει ἡ τις ἐστὶν ἐν Ἑλυσμαῖνι χάρᾳ ἔτι ὄντος μου πρὸς τῇ ψύλῃ Αἰλαμ „ვიყავი მე სუსაში, რომელიც არის ელუმიდას ქვეყანაში (მინაზე), სადაც ვიყავი მე (მიმავალი) ელამის კარიბჭისკენ“. ქართული, კერძოდ, ოშკურ-იერუსალიმური ვერსია იზიარებს თეოდოტიონის ბერძნული თარგმანის წაკითხვებს. იგი სეპტუაგინტასაგან რაოდენობრივად და ხარისხობრივად განსხვავებულ იკითხვისებს იძლევა: დან. 8:2 καὶ ἔμην ἐν Σούσαις τῇ βάρει ἡ ἐστὶν ἐν χάρᾳ Αἰλαμ] ვიყავ მე შუმს-ციხესა, რომელი არს სოფელსა მას შინა ელამისასა O] (დანიელის წიგნის აღნიშნული ეპიზოდის შესახებ ვრცლად იხ. ქიტოშვილი, 2023, გვ. 156)

ამრიგად, ტოპონიმთა ერთი ნაწილი ტრანსლიტერირებულია, ხოლო მეორე – თარგმნილი თარგმანის ენაში არსებული ინფორმაციის მიხედვით. შესაბამისად, ძველი აღთქმის ტოპონიმთა ტექსტოლოგიური კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ

გადმოტანის ტექნიკის, თარგმანის წარმომავლობისა და ავთენტურობის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ გვიქმნის საკმარის საფუძველს, გავცნოთ ტექსტის შემდგომ ისტორიასა და ქართველთა წარმოდგენებს ბიბლიური ერების განსახლების ადგილების შესახებ. გვაძლევს საშუალებას, განვსაზღვროთ ძველ აღთქმაში მოხსენიებული აზიისა და აფრიკის სხვადასხვა რეგიონზე გეოგრაფიული ხასიათის ინფორმაცია ქართველებმა შეითვისეს თარგმანთან ერთად, თუ – მის გარეშე.

ლიტერატურა

- მახარაძე, ნ. (1978). ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- მელიქიშვილი, გ. (1988). ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია (მეორე დამუშავებული გამოცემა). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, „მეცნიერება“.
- მიროტაძე, ნ. (2014). ესთერის წიგნის ქართული ვერსიები, ბიბლიის თარგმნისა და ბიბლიოლოგიის ფონდი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- ქიტოშვილი, გ. (2023). ტოპონიმი „ელამი“ ბიბლიის ქართულ ვერსიებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება IX (ISSN 2346-8106). თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 139-160. <https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/7220fce7-f58b-4839-8f5f-7f331440f715/content>
- ქიტოშვილი, გ. (2023). მიდია ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. საქართველოს უნივერსიტეტი თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია, საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი, თეზისები. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 232-235.
- შანიძე, მ. (1976). გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის შრომები: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. I, გვ. 162-170.
- AYBD (Anchor Yale Bible Dictionary), 1992, Edited by: David Noel Freedman, Gary A. Herion, David F. Graf, John David Pleins, Astrid B. Beck, vol 4, Doublday.
- Gelb, I. J., Kienast, B. (1990). Die altakkadischen

- Königsinschriften des dritten Jahrtausends v. Chr., Freiburger altorientalische Studien 7, Stuttgart.
- Grayson, A. K. (1974-77). The Empire of Sargon of Akkad, Archiv für Orientforschung 25, pg. 56-64.
- Hallock, R. T. (1969). Persepolis Fortification Tablets, Oriental Institute Publications 92, Chicago.
- Hansman, J. (1972). Elamites, Achaemenians and Anshan, Iran 10, published by Taylor&Francis, pg. 100-127.
- Kitoshvili, G. (2024). GEORGIAN AND ARMENIAN READINGS OF TOPONYMS AND ETHNONYMS IN THE BOOKS OF EZRA, GORI STATE UNIVERSITY, PHILOLOGICAL RESEARCHES, Publishing house "SCIENCE JOURNALS", pg. 30-36.
- <http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/525>
- Tov, E. (1999). Transliteration of Hebrew Words in the Greek Versions of the old Testament, A Further Characteristic of the Kaige-Th. Revision, The Greek and Hebrew Bible. Leiden. Brill.
- ОБССИ, Прот. П. Солярский (1879). Опыт Библейского Словаря Собственных Именъ. Т. I. С.-Петербург.

ქართული ბიბლიის წყაროები

- O//Geo Ath. 1 (ოშკის ბიბლია, 978 წ.)
- J იერუსალიმური ბიბლია (იერუსალიმის საბ. ბიბლიოთეკის N7/11), XI ს.
- I A-570 (1460) წ.
- F A-646 (XV-XVI სს)
- D H-885 (XVII ს.)
- S A-51 (საბას ბიბლია, XVII-XVIII სს)
- B ბაქარის ბიბლია, 1743 წლის გამოცემა
- პირობითი აღნიშვნები და შემოკლებანი
-] ლემის ნიშანი
- | ლემის დასრულება
- lac. ნაკლულია
- S^{cod} codex Sinaiticus.